ხელშეკრულება № 21
შესრულებული სამუშაოს შესახებ

ქ.თბილისი 11 სექტემბერი 2013 წ

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონისა მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკულებას ერთი მხრივ ქ. თბილისის სსიპ №72-ე საჯარო სკოლა მისი წარმომადგენლის, დირექტორი ნათელა ნატროშვილის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორე მხრივ "ი/მ რამაზ მასხულია"-ს სახით, შემდგომში "მომწოდებელი", ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას „დამკვეთის" მფლობელობაში არსებულ სკოლის შენობაში (ქალაქი თბილისი გორგასალის 2.) უზრუნველყოს ვიდეოსათვალთვალო სისტემის დაზიანებული ვიდეო კამერის მონტაჟის სამუშაოს შესრულება, ხოლო დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი სამუშაოები და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2 მომსახურეობის ღირებულება

2.1 ვიდეო სამეთვალყურეო კამერების თანხა შეადგენს 270.00 (ორასსამოცდაათი და 00 თეთრი)

2.2 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

3. მომსახურეობის მიღება-ჩაბარება

3.1 მომსახურეობა ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ

3.2 მიღება- ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მომწოდებლისაგან მიღებული მომსახურეობისთვის.

3,3 მომსახურეობის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელი უნდა მოაწეროს დამკვეთის და შემსრულებლის მხრიდან, საამისოდ უფლებამოსილმა პირებმა.

4. მომსახურეობის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.

4.2 მომსახურების მიწოდების ადგილია; ქ.თბილისი გორგასალის 2.

5.გარანტია

5.1 შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურეობა იქნება ხარისხიანი,რაც გულისხმობს სისტემის შეუფერხებელ მუშაობას თუ სისტემის მომხმარებლის მხრიდან დაცული იქნება ელექტრომოწყობილობების ექსპლუატაციის წესები.
5,2 იმ შემთხვევაში თუ რომელიმე სისტემის გაუმართავი მუშაობის მიზეზს წარმოადგენს არასწორი ექსპლუატაცია ან სხვა ფაქტორი (მექანიკური დაზიანება, ძაბვის ცვალებადობა და ა.შ.) სისტემის დაზიანების აღმოფხვრა განხორციელდება შემსრულებელსა და დამკვეთს შორის ცალკე შეთანხმების საფუძველზე.

6.ანგარიშსწორება

6.1ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება, მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.
6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
6.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ მის სრულ ჯეროვან შესრულებამდე.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები;

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ქ.თბილისის 72- საჯარო სკოლა	ი/მ რამაზ მასხულია
ქ.თბილისი გორგასალის 2.	ს/კ 01020011377
ს/კ 204422696	ტელ. 5-777-111-63 598-937-848
სს "ლიბერთი ბანკი"	სს"თიბისი ბანკი" TBCBGE22
ანგ.;№GE31LB00121180433930000	ანგ№GE85TB7634545063600007
ნ. ნატროშვილი	რ. მასხულია

სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი

11 სექტემბერი 2013 წ.

ქ.თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლის დირექტორი ნათელა ნატროშვილის სახით, ხოლო, მეორე მხრივ, ი.მ. რამაზ მასხულიას სახით, ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ შემსყიდველმა მიიღო, ხოლო მიმწოდებელმა მიაწოდა გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მხარეთა შორის 2013 წლის 11 სექტემბერს დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემდეგი მომსახურება, ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის დაზიანებული ვიდეო კამერის შეცვლა-მონტაჟი სსიპ ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლაში (ქ.თბილისი გორგასალის 2.) რომლის ღირებულება შეადგენს 270.00 (ორასსამოცდაათი) ლარს.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

აქტს ვადასტურებთ:

ქალაქ თბილისის № 72 საჯარო სკოლის
დირექტორი ნ. ნატროშვილი

ი/მ რამაზ მასხულია